# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №47

ქ. თელავი 18 სექტემბერი 2014 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელმომწერნი შ.პ.ს. „თელავის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი" თელავი ალადაშვილის ქ.№2 ხელმძღვანელის ირინე გეგეჭკორის სახით, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ შპს "ექსელ-ელექტრონიქსი", ქ. თელავი ალაზნის გამზირი 6, ს/კ 404861896 , დირექტორის ირაკლი მჭედლიშვილის სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია – პერსონალური კომპიუტერები.

1.2 კლასიფიკაციის კოდი - 30213000

დასახელება: პერსონალური კომპიუტერები

## 2. ხელშეკრულების ობიექტი

„მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს "შემსყიდველს" ნოუთბუქი ACER E1-510 ორი ცალი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

## 3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. საქონლის მიწოდების ვადები 2014 წლის 18 სექტემბრიდან 2014 წლის 25 სექტემბრამდე.

3.2. საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. თელავი ალაზნის გამზ.6

## 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნ-ველყოფს „მიმწოდებელი".
4.3. „შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს „მიმწოდებელს" საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

## 5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

5.1. „შემსყიდველი" ვალდებულია:

- გადაუხადოს „მიმწოდებელს" შეთანხმებული ფასი;
- მიიღოს გაწეული მომსახურება.

5.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

- გაუუქმოს „მიმწოდებელს“ გაწეული მომსახურება, თუ მისი ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტებს;

5.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

- გადასცეს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დადგენილ ვადებში;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა.

5.4. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

- მოსთხოვოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი.

## 6. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1540(ერთი ათას ხუთას ორმოცი) ლარს ფასდათმობების, გადასახადების, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

## 7. ფასები

ამ მუხლში აისახება ის შემთხვევები, როდესაც დასაშვები იქნება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების გადასინჯვა (მაგ. ინფლაციის მაღალი დონე, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილება, საგადასახადო რეჟიმის შეცვლა და სხვა). არდა ამისა უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ფასის ჩვლილების მაქსიმალურად დასაშვები ზღვარი და ყოველ კონკრეტულ გარემოებასთან მიმართებაში ჩვლილების გაანგარიშების წესი.

## 8. ანგარიშსწორების პირობები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება - გადარიცხვა

8.2. ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): მიწოდების შემდეგ

8.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედნადები.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული კვირისათვის „მიმწოდებელს“ ეკისრება პასუხისმგებლობა ხელშეკრულების ფასის 0,2 პროცენტის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

## 10. ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორი- ცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
10.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების სემდეგ.
10.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.
10.4. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ყოველდღიურ კონტროლს ადგილზე "შემსყიდველის" მხრიდან ანხორციელებს ვალენტინა ვეფხიშვილი.

## 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2 თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს წესით.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2014 წლის 25 სექტემბრამდე.

## 14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14.2. ხელშეკრულებით დაფიქსირებული ფასის ყოველი შეცვლა მხარეების მიერ ფორმდება დოკუმენტალურად.
14.3. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, ხელშეკრულების მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

## 15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"
შ.პ.ს.„თელავის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი"
ქ.თელავი ალადაშვილის ქ.№2
საიდენტიფიკაციო კოდი № 231171157
საბანკო რეკვიზიტები:
სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია".
ბანკის კოდი UGEBGE22
ანგარიშის № GE74VT2900000001833602

დირექტორი:

„მიმწოდებელი"
შპს "ექსელ ელექტრონიქსი"
ქ. თელავი ალაზნის გამზირი №6
საიდენტიფიკაციო №404861896
საბანკო რეკვიზიტები:
სს "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი TBCBGE22
ანგარიშის № GE21TB7424436020100001

დირექტორი:

ირაკლი მჭედლიშვილი